



ქართული ფოლკლორი

„ერის ბონი, ანანის თითოეული ასო, ქართულ
გეგმაშია მოხვეული. ჰეჰეჰე თავის ისტორიას გეგმით გეგმავს“.

№3 ივლისი 2024 წელი

პერიოდული გამოცემა

2001 წელს იუნესკომ ქართული ხალხური სიმღერა მსოფლიო
ხალხების მუსიკალური მემკვიდრეობის მემკვიდრეად აღიარა.

რეზო ქანიშვილის შემოქმედებითი საღამო



2024 წლის 15 ივნისს, ქალაქ თბილისის მერიის მხარდაჭერითა და ქართული ქორეოგრაფიის ეროვნული ცენტრის ორგანიზებით, „თბილისი არტ ჰოლის“ საკონცერტო დარბაზში (დირექტორი - ნანა გოდერძიშვილი) გრანდიოზულად აღინიშნა დიდი ქართველი ხელოვანის, ქართული ქორეოგრაფიის ერთ-ერთი უთვალსაზრისი ნარმოდგენელის, საქართველოს ხელოვნების დამსახურებული მოღვაწის, საქართველოს შოთა რუსთაველის თეატრისა და კინოს სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორ-ემერიტუსის, საერთაშორისო პრემიის ოქროს მარჯვენის ლაურეატის, წმინდა ექვთიმე თაყაიშვილის მედლის, ღირსების მედლისა და ღირსების ორდენის, საქართველოს ქორეოგრაფიის ბრწყინვალეებისა და რაინდის ორდენების კავალერის, კავკასიის ხალხთა მეცნიერების აკადემიის აკადემიკოსის, მრავალი უნივერსიტეტის საპატიო დოქტორისა და პროფესორის, რამდენიმე ქალაქის საპატიო მოქალაქის, ქორეოგრაფისა და ქორეოლოგის, ქართული ქორეოგრაფიის ეროვნული ცენტრის

საპატიო თავმჯდომარის, ვარსკვლავოსანი რეზო ქანიშვილის დაბადებიდან 87-ე და შემოქმედებითი მოღვაწეობის 70 წლისთავისადმი მიძღვნილი საღამო.
ეს დღე გამორჩეულად აღინიშნეს ქართველმა ხელოვანებმა, ქორეოლოგებმა, ქორეოგრაფებმა, ბატონი რეზოს შემოქმედების თაყვანისმცემლებმა, საქართველოს მასშტაბით მოქმედმა საბავშვო და ახალგაზრდულმა ქორეოგრაფიულმა ანსამბლებმა, ადამიანებმა, რომლებიც თაყვანს სცემენ რეზო ქანიშვილის ნიჭს, განვილ გზასა და შემოქმედებას.
უამრავმა ადამიანმა მოიყარა თავი „თბილისი არტ ჰოლის“ გარე სივრცესა და ფოიეში, ცერემონიალის საზეიმო გახსნასა და წითელ ხალიჩას ამშვენებდნენ საპატიო სტუმრები და შემოქმედებით საღამოში მონაწილე ქორეოგრაფიული ანსამბლების ხელმძღვანელები:
1. **ერეკლე საღლიანი**-სახალხო პოეტი და საზოგადო მოღვაწე;
2. **ზაურ პაპიაშვილი**-ქორეოგრაფიული ანსამბლ „მამულის“ დამფუძნებელი და ქორეოგრაფი;
(დასასრული მე-8 გვ.)



ქართული ხელოვნების ზაიმი ლავილის ქართული ფესტივალი

როგორც ცნობილია, 24 მაისიდან 14 ივლისამდე, ყოველ შაბათ-კვირას, ლევილის ქართველთა მამული ქართულ ფესტივალს მასპინძლობს. ფესტივალის ინიციატორი და ორგანიზატორია საქართველოს კულტურისა და სპორტის სამინისტრო, მხარდამჭერები - საქართველოს მთავრობა, ლევილის ეროვნული სააგენტო და შპს „ჯეოვანი თრედიინგი“.
უნდა აღინიშნოს, რომ ხელოვანები პირველად მონაწილეობენ ლევილის ფესტივალში და რომ ფესტივალისადმი ინტერესი მალაღია, რასაც სტუმრების რაოდენობაც მოწმობს - ყოველკვირეულად ფესტივალს არაერთი უცხოელი თუ ადგილობრივი სტუმრობს, ღონისძიების სტუმრებს შორის არიან საფრანგეთში მცხოვრები ქართველი ემიგრანტები.
მეზუთე საფესტივალო კვირაში სტუმრებს საშუალება ჰქონდათ, სხვა ღონისძიებებთან ერთად, დასწრებოდნენ ანსამბლ „მარტვს“ კონცერტს. ქართული ხალხური ცეკვები ნარმოდგინა ანსამბლ „ერისონთან“ არსებულმა ბავშვთა ქო-

საფეხურის სტუდენტებს. შვიდი სტუდენტი რამდენიმე კვირის განმავლობაში სტუმრობდა კულტურის სამინისტროს მიერ საქართველოს ფარგლებს გარეთ დაფუძნებულ პირველ შემოქმედებით რეზიდენციას და მათ მიერ აქ შექმნილი ნამუშევრები მამულის პარკში სამუდამოდ განთავსდა. ფესტივალის სტუმრებს ამ ნამუშევრების ხილვის შესაძლებლობაც აქვთ.
ფესტივალში ხელოვანების მონაწილეობის ინიციატორი უშუალოდ მინისტრი, ქალბატონი თეა წულუკიანი, რის გამოც ის მადლობას იმსახურებს ამ სფეროში მოღვაწე ადამიანებისადმი. ქართული ქორეოგრაფიის ეროვნული ცენტრის ადმინისტრაცია სიამოვნებით უერთდება იმ უამრავ სამადლობელ სიტყვებს, კომენტარებს და ბარათებს, რომელთაც ყოველდღიურად ლევილში სამინისტროში. მადლობა მინისტრს იმის გამო, რომ არსებობს ეს ფესტივალი, რომ მასში უამრავ ხელოვანს მიეცა და მომავალშიც მიეცემა საშუალება, საფრანგეთში,

FESTIVAL GEORGIEN DE LEUVILLE 2024
ლევილის ქართული ფესტივალი

ბაიტი MAI 24 25 26	ივნისი JUIN 22 23
ივნისი JUIN 01 02	ივნისი JUIN 29 30
ივნისი JUIN 08 09	ივლისი JUILLET 06 07
ივნისი JUIN 15 16	ივლისი JUILLET 13 14

დასრულება თაჰისუფალი
ENTRÉE LIBRE

რეოგრაფიულმა ანსამბლმა „ლაპრებმა“. მაყურებლის წინაშე წარსდგა ანსამბლი „დიდგორიც“.
წლებადეულ ფესტივალში 700-ზე მეტი ხელოვანი და სპორტსმენი მონაწილეობს, რომელთა შორის არიან ფოლკლორული და ქორეოგრაფიული ანსამბლები სხვადასხვა რეგიონიდან, მუნიციპალური სახელმწიფო თეატრები თუ შემოქმედებითი ჯგუფები. სპორტის არაერთ სახეობაში (რაგბი, ფეხბურთი, ფარიკაობა, ჭადრაკი, ქართული საბრძოლო ხელოვნება) იმართება შეჯიბრებები თუ საჩვენებელი ორთაბრძოლები. ფესტივალში პირველად მონაწილეობენ ხის ოსტატები, მწერლები და სამხატვრო აკადემიის სტუდენტები. მნიშვნელოვანია, რომ ლევილის ისტორიულმა მამულმა წელს პირველად უმასპინძლა სამხატვრო აკადემიის ქანდაკების მიმართულების მაგისტრატურისა და საბაკალავრო

ლევილის ქართველთა მამულში წარსდგეს ქართული ხელოვნების მოყვარული მაყურებლის წინაშე და პოპულარიზაცია გაუწიოს თავისი ქვეყნის კულტურას, ფოლკლორულ შემოქმედებას. ლევილის მამული მომავალში უდიდეს როლს ითამაშებს ქართული კულტურისა და ხელოვნების პოპულარიზაციის საკითხში. საგულისხმო და ხაზგასასმელია ის ფაქტი, რომ ფესტივალში მრავლად არიან ნარმოდგენილი საბავშვო და ახალგაზრდული შემოქმედებითი კოლექტივები.
დარჩენილ დღეებში მაყურებელი ფესტივალზე იხილავს ქორეოგრაფიულ ანსამბლ „ბათუმს“, ანსამბლ „სათანოს“, ანსამბლ „ლალხორს“ (სვანეთი), ხრიდოლის ოსტატებს და სხვა. ლევილის ფესტივალი 14 ივლისს დასრულდება. მას დახურავს ანსამბლი „ალილო“ და საქართველოს სამეფო ნაციონალური ბალეტი „ფოცხიშვილები“.

ქართული ხალხური ქორეოგრაფიის კლასიკური მემკვიდრეობა

ქართული ხალხური ქორეოგრაფიის დიალექტების განვითარების ზოგიერთი საკითხი



(გაგრძელება იქნება) დასაწყისი იხილეთ გაზეთი №2

ნანილი პირველი

იგი თავისი კლასიკური გაგების ფარგლებში, ერთი საერთო ენის დიფერენციაციის შედეგად მიღებულ განშტოებას წარმოადგენს. ცნობილია, რომ მუსიკატომ-ცოდნეობაში „დიალექტის“ ცნება შემოიტანა უნგრელმა კომპოზიტორმა ბელა ბარტოკმა. მ. შილაკაძის [იხ. ამის შესახებ მ. შილაკაძე, ქართული მუსიკალური დიალექტები. მასალები საქართველოს ეთნოგრაფიისათვის, XX - თბილისი, 1979, გვ. 76] აზრით, უფრო ადრე აღნიშნულ საკითხს შეეხო დ. არაყიშვილი, მაგრამ მას არ უხმარია „დიალექტის“ ცნება და მის მაგივრად იყენებს ტერმინს „შტო“, რაც არსებითად იგივეობრივი შინაარსის მქონეა. ჩვენს მიერ აქ ციტირებული ავტორის მონოგრაფიაში მოტანილია მუსიკალური დიალექტის განსაზღვრა, რომელსაც იძლევა ცნობილი მკვლევარი ვ. მიშოვსკი. მისი აზრით, „მუსიკალური დიალექტი – ესაა მუსიკალური ფოლკლორის სხვადასხვა სტილისტური თავისებურებების კომპლექსი. გავრცელებული გარკვეულ ტერიტორიაზე“. ჩვენ უფრო სრულყოფილად და გასაზიარებლად გვეჩვენება მუსიკალური დიალექტის ის განმარტება,

რომელსაც იძლევა ქართველი მკვლევარი ე. გარაყანიძე. მისი აზრით, „მუსიკალური დიალექტი ეროვნული მუსიკალური ფოლკლორის განშტოებაა. იგი გავრცელებულია გარკვეულ ტერიტორიაზე, ამა თუ იმ ეთნიკური ჯგუფის ფარგლებში და ხასიათდება სტილისტური თავისებურებების კომპლექსით“ [ე. გარაყანიძე, ქართული მუსიკალური დიალექტები და მათი ურთიერთიმართება. დისერტაცია. ხელოვნებათმცოდნეობის კანდიდატის სამეცნიერო ხარისხის მოსაპოვებლად. თბ., 1990. გვ. 7]. ამგვარი ზოგადი და არსებითად სწორი განსაზღვრება სრულიად მისაღები უნდა იყოს ქორეოგრაფიული ფოლკლორისთვისაც. მაგრამ მას უთუოდ დასჭირდება გარკვეული დაზუსტება ქორეოგრაფიული ხელოვნების ცალკეულ, უანობრივ სხვადასხვაობასთან მიმართებაში. აქ დიალექტური განსაზღვრულობა შეიძლება წარმოშვას „ქორეოგრაფიულ-ტერიტორიული“ ერთეულის შიგნით გავრცელებულმა შესრულების მანერამ, ეთნიკური ჯგუფისათვის ნიშანდობლივმა თავისებურებამ, ინდივიდუალური თუ ჯგუფური ცეკვების ხასიათმა და ა. შ.

როდესაც აღნიშნულ საკითხებზე ვმსჯელობთ, განსაკუთრებული ყურადღება უნდა დაეთმოს იმ კრიტერიუმების მოძიებას, თუ რა პრინციპის, რა ნიშან-თავისებურებების ბაზაზე შეიძლება გაიმჯღოს ერთმანეთისაგან ესა თუ ის ქორეოგრაფიული დიალექტი, თუ თვალს გადავავლებთ ქართულ ქორეოგრაფიაში არსებულ სადღესო ვითარებას, აღმოვაჩინოთ, რომ ამგვარ გამოყენებას ხშირად საფუძვლად უდევს ისტორიულ-გეოგრაფიული, ანუ საკუთრივ არაქორეოგრაფიული მოსაზრებები. ჩვენში ხშირად გამოიყენება ტერმინები „სვანური ფერხულები“, „აჭარული ცეკვები“, „მთიულური ცეკვები“. ამგვარი სახელდების დროს წინა პლანზე, როგორც უკვე

ითქვა, ისტორიულ-გეოგრაფიული მოტივი ან კიდევ ეთნიკური ნიშანი გამოდის, სპეციალისტისთვისაც კი, უპირველეს ყოვლისა, საინტერესო უნდა იყოს ის კონკრეტული მახასიათებლები, რომლებიც საკუთრივ ქორეოგრაფიული სანწყისიდან მოდის. მაგალითად, იმავე „სვანური ფერხულების“ სრულფასოვანი კლასიფიკაციისათვის აუცილებელია მისი ზემო და ქვემო რეგიონებისათვის დამახასიათებელი თავისებურებები, ასევე, მათი მიმართება მომიჯნავე რეგიონებისათვის ნიშანდობლივ თავისებურებებთან. იგივე შეიძლება ითქვას სხვა რეგიონების მიმართაც.

ვფიქრობთ, ქართული ქორეოგრაფიული დიალექტების გამოყოფის პრინციპებით დაინტერესებულმა მკვლევარმა უნდა გაიზიაროს და დაეყრდნოს საკუთრივ ენათმეცნიერებაში დამკვიდრებულ შეხედულებას, რომლის მიხედვითაც ენობრივ დიალექტთა გამოყოფას სამი ძირითადი პრინციპი ედება საფუძვლად: ა) საკუთრივ ენობრივი, ბ) ეთნიკური, გ) სახელმწიფოებრივ-პოლიტიკური“ [ს. ჯორბენაძე, ქართული დიალექტოლოგია, თბ., 1989, გვ. 30].

თუ აღნიშნულ დებულებას გავიზიარებთ და მას სახელმძღვანელოდ მივიჩნევთ, მაშინ გამოვა, რომ ქორეოგრაფიული დიალექტის თავისებურებათა ფიქსირებაში უმთავრესი იქნება საკუთრივ ქორეოგრაფიის სპეციფიკის პრობლემა. ეს ნიშნავს ზუსტად დავაფიქსიროთ ის სპეციფიკურად დამახასიათებელი ნიშნები, რომელიც ფოლკლორულ საცეკვაო ვარიანტებს ახასიათებს მოცემული კონკრეტული რეგიონის ფარგლებში და რომელიც სხვაგან არ გვხვდება, ან თუ გვხვდება, მხოლოდ ნასესხები სახით.

როდესაც ქორეოგრაფიული დიალექტების პრობლემაზე ვმსჯელობთ და მას ერთიანი ფოლკლორული სისტემის ნაწილად განვიხილავთ, ბუნებრივად წამოიჭრება საკითხი – შეიძლება თუ არა ვივარაუდოთ

გარკვეულ ისტორიულ ეტაპზე ისეთივე ქორეოგრაფიული ფუძე-ენის არსებობა, როგორც ამას მუსიკალურ ხელოვნებასთან მიმართებაში ჰქონდა ადგილი?

როგორც ჩანს, ამგვარი შესაძლებლობა უნდა დაეუშვათ, რადგან ჩვენ არ შეგვიძლია გვერდი ავუაროთ იმ ისტორიულ ფაქტს, რომ ქართული ენის ცალკეული დიალექტები უშორეს ისტორიულ წარსულში ერთიანი ფუძე-ენის დაშლის შედეგად წარმოიქმნა. იგივე პროგრესი განვითარდა მუსიკალურ ხელოვნებაშიც, კერძოდ, დაიშალა ერთიანი მუსიკალური ფუძე-ენა და წარმოიშვა მისი ცალკეული შტოები ანუ დიალექტები.

ცნობილია, აგრეთვე, რომ მუსიკალურ ხელოვნებაში დიფერენციაციის პროცესი ისეთივე ღრმა არ ყოფილა, როგორც ეს ენაში მოხდა. იგივე შეიძლება ითქვას ქორეოგრაფიაზეც, თუმცა, გარკვეულ ნიშან-თავისებურებათა თუ შესრულების მანერის განსხვავებაზე საუბარი, ცხადია, შეიძლება, მიუხედავად ამისა, ქორეოგრაფიული დიალექტი მაინც ქორეოგრაფიის განშტოებას, მის კერძო გამოხატულებას წარმოადგენს.

დასასრულს, რაკი ჩვენ ქორეოგრაფიული დიალექტების გამოყოფის პრობლემაზე საუბრისას ძირითადად, მაინც მუსიკალური ხელოვნების ანალოგიით ვსარგებლობთ, მოვიყვანოთ მკვლევართა მიერ გამოყოფილი მუსიკალური დიალექტების ჩამონათვალს. დ. არაყიშვილის მიხედვით (იგი, როგორც ვიცით, დიალექტის მაგივრად იყენებს „შტოს“) ქართულ ხალხურ მუსიკაში გამოიყოფა შემდეგი შტოები: ხევსურული, ქაშური, თუშური, მოხურული, მთიულური, ქართლ-კახური, სვანური, რაჭულ-ლეჩხუმური, მეგრული, იმერული, გურული (აქ გამოტოვებულია მესხეთის, აჭარის, ლაზეთის შტოები).

რაზო ჭანიშვილი
პროფესორ-ემერიტუსი
ნიგინიდან „ნერილები ქორეოგრაფიაზე“

„ოპოი ნანა“ 30 წლისაა!



ჩაქვის №1 საჯარო სკოლასთან არსებული ბავშვთა ქორეოგრაფიული ანსამბლი „ოპოი ნანა“ სამი ათწლიანი წელია ემსახურება ქართული ქორეოგრაფიული ხელოვნების განვითარება-წინსვლის, ტრადიციების დაცვის, შენარჩუნებისა და პოპულარიზაციის საქმეს, ანსამბლის დამფუძნებელი გახლავთ დამსახურებული ქორეოგრაფ-პედაგოგი, არაერთი საპატიო ჯილდოსა და წოდების მფლობელი, **ალექსანდრე ხიდაშელი**.

2024 წლის 13 ივნისს, ანსამბლმა „ოპოი ნანამ“ დაარსებიდან 30 წლის იუბილე აღნიშნა ბათუმის საზაფხულო თეატრში, საიუბილეო ღონისძიებას

ესწრებოდნენ აჭარის უმაღლესი საბჭოსა და ქობულეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრები; საქართველოს შოთა რუსთაველის თეატრისა და კინოს სახელმწიფო უნივერსიტეტის ქორეოგრაფიული მიმართულების ხელმძღვანელი, პროფესორ-ემერიტუსი უჩა დვალისძე; ამავე უნივერსიტეტის მონვეული ლექტორი ავთანდილ ჩუბინიძე; ქართული ქორეოგრაფიის ეროვნული ცენტრის დირექტორი ზაზა მჭავანაძე; საქართველოს ხელოვნების დამსახურებული მოღვაწე, შოთა რუსთაველის თეატრისა და კინოს



სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორ-ემერიტუსი, ეროვნული ცენტრის საპატიო თავმჯდომარე რეზო ჭანიშვილი; ამავე ცენტრის საპატიო თავმჯდომარე, სახალხო პოეტი და საზოგადო მოღვაწე ერეკლე საღლიანი; საქართველოს ქორეოგრაფთა აკადემიის პრეზიდენტი ალექსანდრე ქართველიშვილი; ხელოვნების სფეროს წარმომადგენლები და ანსამბლის გულშემოტიკრები.

„ოპოი ნანა“ სპეციალურად საიუბილეოდ მომზადებული შესანიშნავი საკონცერტო პროგრამით წარსდგა მაყურებლის წინაშე.

საიუბილეო ღონისძიების დასასრულს, გამართა დაჯილდოების ცერემონიალი.



ანსამბლი „ოპოი ნანა“, ფულადი პრემიით დააჯილდოვა აჭარის ა/რ განათლების, კულტურისა და სპორტის მინისტრმა, ქალბატონმა მია ხაჯიშვილმა, რომელმაც აღნიშნა, რომ უდიდესია ანსამბლის მიერ შეტანილი წვლილი ქართული ფოლკლორის, მისთვის დამახასიათებელი ქორეოგრაფიული ტრადიციების აღორძინებისა და სამემსრულებლო ხელოვნების განვითარების საქმეში.

ქობულეთის მუნიციპალიტეტის მერმა ლევან ზოიძემ საპატიო სიგელი გადასცა ანსამბლის ხელმძღვანელს ალექსანდრე ხიდაშელს.

ანსამბლს ასევე ფულადი პრემია გადასცა ყოფილმა წევრმა არჩილ დიასამიძემ.

ჩაქვის №1 საჯარო სკოლის დირექტორმა ტარიელ ქათამაძემ ხელოვნების სიყვარულის, დაუღალავი შრომის, მაღალი პროფესიონალიზმისა და გამორჩეული ნიჭიერებისათვის ანსამბლი საპატიო სიგელით დააჯილდოვა.

ქართული ქორეოგრაფიის ეროვნულ-



ლი ცენტრის განკარგულებით, ქორეოგრაფიულ ანსამბლ „ოპოი ნანას“ მიენიჭა ცეკვის საბავშვო აკადემიის საპატიო წოდება.

საქართველოს ქორეოგრაფთა აკადემიის პრეზიდენტმა, ალექსანდრე ქართველიშვილმა, ანსამბლს მინიჭა საქართველოს ქორეოგრაფთა აკადემიის რჩეულის წოდება. დამსწრე საზოგადოებას მიესალმნენ და ანსამბლ „ოპოი ნანას“ მთელ შემადგენლობას წარმატებები უსურვეს რეზო ჭანიშვილმა და ერეკლე საღლიანმა.

საიუბილეო ღონისძიებამ თბილ და მაღალმემოქმედებით ვითარებაში ჩაიარა.



ფოლკლორული სივრცის მახასიათებლები



(დასასრული.
დასაწყისი იხილეთ გაზეთის №1-2)

ქალთა ჯგუფური ცეკვები, ძირითადად სრულდებოდა სამების დღესასწაულზე: ახალგაზრდები (გოგონები, ვაჟები) აბამდნენ ფერხულს და ცეკვავდნენ.

შერეული შემადგენლობით ცეკვები სრულდებოდა წყვილებად ან სამეულელებად (ერთი კაცი და ორი ქალი), შერეული ჯგუფური ცეკვის უმთავრესი პრინციპი კომპოზიციურ გადაწყვეტას ემყარება.

ჯგუფური ცეკვის ქორეოგრაფიული ლექსიკა შედგება უშუალოდ ცეკვის დროს შექმნილი მოძრაობისაგან, შესტისა და პოზისაგან, რაც ემორჩილება რიტმს და ცეკვის აგების ძირითად პრინციპს.

ჯგუფური ცეკვის მთავარი თავისებურება იმპროვიზაციულობა იყო. შემსრულებლები იცავდნენ ნახაზს და ილეთების თანმიმდევრობას, იმპროვიზირებდნენ ერთ რიტმში ფეხისა და ხელის ნაკეთურა მოძრაობით, შეძახილებით გამოხატავდნენ ემოციას და ამგვარად იქმნებოდა საცეკვაო ლექსიკა. თითოეული შემსრულებელი ვარირებდა ძირითად რიტმულ ნახაზს, ძირითად მოძრაობას, ხელის, ტანისა და თავის მდგომარეობას, ინარჩუნებდა ცეკვის ტრადიციულ ნახაზსა და შესრულების მანერას.

ჯგუფური ცეკვები ძირითადად სიმღერასა და ხალხურ საკრავებთან ერთად სრულდებოდა. ყველაზე მეტად გავრცე-

ლებული იყო ტრადიციული საკრავები: ჩონგური, ჭიბონი, დოლი. მოგვიანებით გაჩნდა ფანდური, სალამური, გარმონი და სხვ. იშვიათად გვხვდება არაქართული წარმოშობის საკრავებიც: საზი, ზურნა, ქამანჩა.

ჯგუფური ცეკვების სახელი ძირითადად მათი შინაარსიდან (შრომის პროცესიდან) მომდინარეობს: საკოლმურნეო – მეჩაიეთა, მეთამბაქოეთა ცეკვა, შეჯიბრი, ლელო, ძმური მოხეური; შემსრულებელთა რაოდენობიდან: სამაია, სამთა მთიულური, შვიდი წყვილი ფერხული; კალენდარული: შვიდმაისობის ფერხული; ცეკვის ძირითადი ნახაზიდან – მრგვალი, ჯვარი, წრიული; ნახევარწრიული; სწორხაზოვანი, შერეული; სიმღერის სახელწოდებიდან (თითქმის ყველა საფერხულო ცეკვა): ლილე, თამარ დედფალ, ყანსავ ყიფიანი, მალლა მთას მოდგა, ქვედრულა მოდიდებულა, თებროლე მიდის წყალზედა... ხასიათიდან და ცეკვის სახეობიდან: სადარბაზო, ქალთა ლირიკული ცეკვა და ა. შ.

ქართული ხალხური ცეკვის ფორმებზე მუშაობისას, ყურადღება მივაქციეთ გეომეტრიული ფიგურების მიხედვით ცეკვების კლასიფიცირებას, სადაც გამოვყავით ნახაზის ოთხი ძირითადი სახე: წრიული, ხაზოვანი, სპირალური და კომბინირებული. აღნიშნული სახეები დაყოფილია ქვესახეებად. ჩვენი აზრით, ამ სახით დაყოფა არსებულ მცდელობებთან შედარებით უფრო მრავალფეროვანი და სრულია.

I. წრიული

- წრიული – ხელმომბითი, ხელმოუბმელი.
- წრე კორიფით – წრის შიგნით მოთამაშობით.
- ზურგშექცევით – ხელმომბით და ხელმოუბმელად, ერთიმეორის ზურგმბრუნებით წკნელურად (კლაკნილად), ზიგზაგურად, წრიულად (რთული ნახაზი) სვლა.
- ორი წრე გვერდიგვერდ – ორწრიული.
- ურთიერთმკვეთი ორი წრე – წრეების

- გაჭრით (გადაკვეთით) ბრუნვა.
- ორი კონცენტრული წრე – კალათა (გადაწნული, გადაბმული, ჩაგრეხილი, შეკრული) წრე. ფიგურა ორი წრით – წრე წრეში, გარეთ ვაჟები, შიგნით გოგონები, თანაბარი რაოდენობით, სახით ცენტრისკენ.
- წრეები წრეში – ორი, სამი კონცენტრული წრე (ორმხრივი, სამმაგი).
- სამწრიული – სამი წრე ერთმანეთის გვერდით ან სამკუთხედად განლაგებული.
- წრე სართულებით – ერთი, ორი და სამ სართულიანი.
- წრეშეუკრავი – ერთმანეთის გვერდზე ან უკან მდგომი – წრეშეუკრავი.
- ერთრკალიანი, ორრკალიანი (ხელმომბულ-ხელმოუბმელი) ჩვეულებრივი სვლა ან საფერხულო მოძრაობათა კომპლექსი.

II. ხაზოვანი

- ერთხაზოვანი – ერთმწკრივული (ხელმომბით-ხელმოუბმელი, ხელგადახვეული-ხელგადაუხვეველი).
- დიაგონალი – ერთი გადაკვეთი ხაზი.
- ვერტიკალი – ერთი, რამდენიმე.
- გაჭრა (გავლა) – ერთი მწკრივის (ხაზის) გავლა მეორეში (მოპირდაპირე მწკრივის გაჭრა-გავლა ერთიმეორეში და ადგილების შეცვლა).
- ჰორიზონტალური – ერთი, რამდენიმე ხაზი.
- პარალელური – ორი ან რამდენიმე გადაუკვეთელი რიგის გავლა.
- მწკრივებში რიგების გავლა.
- ფარი – ორი მწკრივის სიმეტრიულად, საპირისპიროდ ფარისებრი ბრუნვა.
- ბჭე - ჭიშკარი – ორ პარალელურ თალოვან რიგს შუა გავლა.
- კლაკნილი – ხაზიდან ხაზზე მიხვეულ-მოხვეული (მიგრეხილ-მოგრეხილი) სვლა წელი შემობრუნებით.
- კლაკნილი სვლა.
- ტალღისებური – ერთი ან რამდენიმე რიგის ტალღური, წყლისებრი მოძრაობით სვლა.

- ვარსკვლავიერი – ცენტრში შეკრული და სხივებად გაშლილი რამდენიმე მწკრივი.
- წრიული გავლა.
- ტეხილი გავლა.
- გალმა-გამოღმითი, მისვლა-მოსვლითი – ორი პარალელური მწკრივის ერთმანეთთან მისვლა-მოსვლით (მიახლოება-დაშორებით), სიმღერა-ცეკვით წელი სვლა.
- ზურგშექცევით, ზურგმბრუნებული – ზურგშექცევით (ერთმანეთის უკან) მდგარი ერთეულების (ორეულების), ხელმომბით ან ხელმოუბმელად, სიმღერა-ცეკვით სვლა.

III. სპირალური

- თავხვეული – ხელმომბით წრის თანდათან დახვევა-დაპატარავება და შეკვრა.
- თავგახსნილი – სახეებრუნებით დახვეული წრის დიდ წრედ გახსნა-გამლა (გამოხსნა).

IV. კომბინირებული (რთული, შერეული)

- წრე ორი კარით (ორი კარიბჭით) – უძრავ წრეში შესვლა-გამოსვლა.
- ზურგშექცევით – ხელმომბით ან ხელმოუბმელად. ერთიმეორის ზურგმბრუნებით წკნელურად (კლაკნილად), ზიგზაგურად, წრიულად სვლა (რთული ნახაზი).
- წრე-ჯვარი – წრისა და ორი ჯვარედინად გადაკვეთი ხაზის ურთიერთსანი-ნაალმდეგო მოძრაობა.
- ოთხკუთხედი (კვადრატი), ერთდროულად ოთხ მხარეს – ოთხმხრივად რთული კომბინირებული მოძრაობა.

შენიშვნა: მრავალმომართულებიანი რთული საფერხულო წყობა აერთიანებს ფერხულის ყველა სახეობას, მაგალითად: მეგრული ოსხაპუე და ზოგიერთი სვანური ფერხული.

უჩა დვალისვილი
პროფესორი

ანსამბლ „ლაშარელას“ ალბომის პრეზენტაცია



ჩარგალში ფშავის ფოლკლორული ანსამბლ „ლაშარელას“ ალბომის პრეზენტაცია გაიმართა.

ანსამბლი „ლაშარელა“ 2023 წელს ანსამბლ „ლაშარის“ ბაზაზე შეიქმნა.

უხუცესი წევრი 87 წლისაა, ყველაზე უმცროსი 15-ის.

„ლაშარელა“ ფშავური სიმღერის მემკვიდრეა. დღეისათვის ის ერთადერთია, რომელმაც შეინარჩუნა ფშავური მღერის ტრადიცია, შესრულების წესი და მანერა.

საჩქარო იყო უხუცესების, უკანასკნელი კორიფეების ხმების დაფიქსირება-გადარჩენა, ამ მიზნით მოხდა ფშავური სიმღერების აუდიო და ვიდეოჩანაწერების პირველი ალბომის მომზადება და გამოცემა.

ვფიქრობთ, ალბომი ისტორიული ღირებულებისაა, იგი ხელს შეუწყობს ფშავურად მღერის ცოცხალი ტრადიციის აღდგენა-გაცოცხლებასა და ყოფაში დაბრუნებას.

პროექტის მხარდამჭერია კულტურისა და სპორტის სამინისტრო, ანზორ ერქომაიშვილის სახელობის ფოლკლორის სახელმწიფო ცენტრი, დუშეთის მუნიციპალიტეტი და ფონდი „ქართული გალობა“.



ღები გობოჭურები

ხალხური საგანძური ნებისმიერი ერის კულტურული დონის უტყუარი მაჩვენებელია. ამ მხრივ, ქართველები, უფალმა ნამდვილად საგანგებოდ გაგვანებიერა, იმდენად უნიკალური და მრავალფეროვანია ჩვენი ფოლკლორი. რაოდენ სასიხარულოა, რომ ქართულ ფოლკლორს ჰყავს ახალგაზრდა, ნიჭიერი წარმომადგენლები, რომლებსაც უდიდესი წვლილი შეაქვთ ეროვნული ფოლკლორის შენარჩუნება-განვითარებისა და მოპოვებული თაობების ღირსეულად აღზრდის საქმეში.

ღები გობოჭურების შემოქმედებას ძალიან კარგად იცნობს ქართულ ფოლკლორზე შეყვარებული მკითხველი, მაგრამ მე მაინც შევეცდები, ორიოდ სიტყვით, კიდევ ერთხელ მოგიხსნათ მათი შემოქმედებით საქმიანობის შესახებ.



მარიამ, ქეთევან, თამარ და მანანა გობოჭურები ტრადიციულ ხევისრულ ოჯახში დაიბადნენ, სადაც არა მარტო კარგად იცნობდნენ მთის ფოლკლორს, არამედ, თვითონ იყვნენ შესანიშნავი შემსრულებლები და თაობიდან თაობას გადასცემდნენ გამორჩეული მანერით შეს-

რულებულ სიმღერებს. გობოჭურები ბავშვობიდანვე მღეროდნენ. სიმღერის სიყვარულს ოჯახში ეზიარნენ – მამა და ბებია - მარიამ ჭინჭარაული, იყვნენ მათი პირველი პედაგოგები. ღები გობოჭურები მღერიან როგორც მთის მელოდებზე ახლად შექმნილ სიმღერებს, ასევე, ალადგინეს უამრავი ძველი სიმღერა, რომლის ჩანაწერი უკვე არსად მოიპოვებოდა, რაც სწორედ მათი ბებუის, ქალბატონი მარიამის დიდი დამსახურებაა. გობოჭურებმა დიდი წვლილი შეიტანეს ხევისრული ფოლკლორის აღდგენა-გავრცელების საქმეში. ეს ეხება როგორც სიმღერას, ასევე ზეპირსიტყვიერებას, დატირებას, მივინყებულ ტრადიციების შესწავლას, ტილოს ქსოვას და ქარგვას. გობოჭურები სხვადასხვა ინსტრუმენტებზე დაკრასაც ადრეულ ასაკშივე დაეუფლნენ ქალბატონ ნატო ნიკლაურის ხელმძღვანელობით. თავიანთი სასიმღე-



რო კარიერა შესანიშნავ ფოლკლორულ ანსამბლებში „შთამომავლობა“, „აისი“ (ხელმძღვანელი – ნატო ნიკლაური) და „მანდილი“ (ხელმძღვანელები – რამინ და მაია მიქაბერიძეები) განაგრძეს, 2006 წლიდან კი დამოუკიდებლად შეუდგნენ შემოქმედებით საქმიანობას. თავდაპირველად ჩამოაყალიბეს გობონათა ფოლკლორული ანსამბლი „ღები გობოჭურები“ და სისტემატიურად მონაწილეობდნენ ქვეყნის შიგნით თუ მის ფარგლებს გარეთ გამართულ ფესტივალებსა და ფოლკლორულ საღამოებში, საქართველოს ფოლკლორის ეროვნული ცენტრის ორგანიზებით ჩატარებულ ღონისძიებებში და მრავალჯერ დამსახურებულად მოიპოვეს ლაურეატის წოდება. პირველი სოლო კონცერტი 2009 წელს შედგა და წარმატებითაც. 2010 წელს გობოჭურებმა გამოსცეს პირველი მუსიკალური ალბომი სახელწოდებით „სად დაგიჩოქო არაგვო?!“ აღსანიშნავია, რომ სიმღერები ორიგინალურ გარემოში – მუცოსა და შატლის კომპლექსში ჩაიწერა. ეს წელი, განსაკუთრებით იღბლიანი აღმოჩნდა მათთვის – სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის, უნიმინდესისა და უნეტარესის ილია

ლოცვა-კურთხევით მათი ანსამბლი „საპატრიარქოსთან არსებული ღები გობოჭურების საოჯახო ანსამბლი“ გახდა. იმ პერიოდში გობოჭურებმა თბილისში, ხევისრული სახლი „სამედამენისო“ გახსნეს, სადაც, სიმღერის, ქსოვისა და ქარგვის შესწავლის გარდა, ჩამოაყალიბეს ტურიზმის ცენტრი, აწყობდნენ პოეზიის საღამოებს, ჰქონდათ ოჯახური სამზარეულო და სტუმრებს მთის კერძებით უმასპინძლებდნენ.

პირველი წარმატებული ალბომის შემდეგ, ღებმა გობოჭურებმა კიდევ სამი ალბომი გამოსცეს: „კიდევაც ვნახავ ხევისრულს“, „მავნატრი გუროს ციხესა“ და „მთებისკენ მიჰქრის ფიქრები“.


დღესდღეობით ღები წარმატებით აგრძელებენ პედაგოგიურ საქმიანობას და მომავალ თაობებს ქართული ფოლკლორული ხელოვნების სიყვარულს უწერავენ. თამარი ყაზბეგში სალოტბარო სკოლისა და ფოლკლორულ ანსამბლ „კარიბჭეს“ ხელმძღვანელობს, მარიამი თბილისში აგრძელებს საქმიანობას და ანსამბლ „ხარატულის“ ხელმძღვანელი გახლავთ, ქეთევანი ქართული ხალხური სიმღერებისა და საკრავების ანსამბლ „გორულასა“ და ფერისცვალების ტაძართან არსებულ ანსამბლ „უფლის კარავს“ უდგას სათავეში, მანანა კი, სოფელ მარტყოფის კულტურის ცენტრის თანამშრომელია.

P.S. გაზეთი „ქართული ფოლკლორი“ წარმატებულ შემოქმედებით და პედაგოგიურ მოღვაწეობას უსურვებს ღები გობოჭურებს. დაე, კვლავ აღეზარდოს მომავალი თაობები ქართული ფოლკლორისა და ტრადიციების უსაზღვრო სიყვარულით.

მანანა უშიკიშვილი



ხელოვნება და მეხნიერება



იცი, ეს ყველაფერი რისთვის არის საჭირო? უპირველეს ყოვლისა იმისათვის, რომ შენ და შენი მასწავლებლები ერთ ენაზე საუბრობდით. როდესაც მასწავლებელი გუბნება „ცეკვა ხელოვნების დარგია“, „ხელოვნება იყოფა სახეობად და ფანრებად“, „ხელოვანი და მეცნიერი სხვადასხვა ენაზე მეტყველებენ“, ან კიდევ „მოვეწყით ხაზზე“, „ფეხები პირველ პოზიციაში“, „ხელის მდგომარეობა მეორე პოზიციაში დავტოვოთ“, ან სხვა ამის მსგავს დავალებას გვაძლევს, ცხადია, შეცდომას დაუშვებ, თუ კი არ გესმის მასწავლებლის მიერ გამოყენებული სიტყვების შინაარსი, არ იცი, რას ნიშნავს ხელოვნება, მეცნიერება, „ხელისა და ფეხის პოზიციები“, ვერ ერკვევი, რა არის „ხაზებზე მონყობა“ ან კიდევ, რა იგულისხმება მასწავლებლისადმი ღიმილიანი სახით პატივისცემის გამოხატვაში და ა. შ.

ახირებული კაცი, ფილოსოფოსი სოკრატე ცხოვრობდა. ახირებული იმიტომ იყო, რომ ერთხელ ასეთი რამ თქვა: „მე ვიცი, რომ არაფერი ვიცი“. სოკრატე ათენის ცენტრში, ერთგვარ სალაყბო-სადისკუსიო მოედანზე, რომელსაც ბერძნები აგორას ეძახდნენ, გამოდიოდა, გამვლელ-გამომვლელს ათასნაირ, თითქოსდა, მარტივ თემცა, მომბაზრებულ შეკითხვას აძლევდა და თან დასძენდა: ამ საკითხისა მე ვერაფერი გავიგე და შენ, როგორც ჭკვიანმა კაცმა, იქნებ როგორმე ამიხსნაო. შექებით გადდგულეული მოკამათე იწყებდა მსჯელობასა და კამათს. სოკრატეც ახალ-ახალ კითხვებს აძლევდა და ბოლოს ირკვეოდა, რომ მოკამათე იმის ნახევარიც არ იცოდა, რაც სოკრატემ. საინტერესო ისაა, რომ ამ უკანასკნელს სწამდა: ყოველი საკითხი იმდენად რთული და იმდენი ნახნაგის მქონეა, რომ მისი ამოწურვა შეუძლებელია. აი, სწორედ ამიტომ ამბობდა იგი, – იმდენი კი ვიცი, რომ არაფერი არ ვიციო.

წინამდებარე სახელმძღვანელოში, ჩვენ ძალიან ხშირად გვინებს და მომავალშიც მოგვინებს ისეთი სიტყვა-ტერმინების გამოყენება, როგორიცაა ხელოვნება, ხელოვნების დარგი ან სახე, ხელოვნების ფანრი, მეცნიერება, მეცნიერების დარგები და ა. შ. ძალიან მინდა კარგად გაერკვე, თუ რას გულისხმობს თითოეული ამ ტერმინთაგანი.

გავიგებს რა, რომ ქორეოგრაფიული სტუდიის მსმენელი ხარ, შეიძლება გკითხოთ: აბა ერთი მითხარი, ცეკვა ხელოვნებაა თუ მეცნიერება? შენ შეგიძლია თამამად უპასუხო, რომ „ცეკვა“ ხელოვნებაა, მაგრამ რომ ჩაგვიძიოს და გითხრას – იქნებ დამიმტკიცო, რატომაა სწორედ ხელოვნება და არა მეცნიერებაო, – მაშინ უკვე სერიოზული მსჯელობისათვის უნდა იყო მზად.

სირთულე აქ იმაშია, რომ ასეთი ტიპის საკითხებზე საუბარი სპეციალურ ცოდნას მოითხოვს. მასში ჩანვლომა კი იოლი არ არის, თუმცა არც დაუძლეველია.

საერთოდ, უნდა გვახსოვდეს, რომ ნებისმიერ საკითხში გასარკვევად რაღაც საყრდენი ნერტილი უნდა გვქონდეს მონიშნული და მსჯელობის დროს სწორედ მასზე უნდა დავედეთ. მეცნიერებაში, ხელოვნებაში, ცხოვრებაში ასეთი საყრდენის როლს ადამიანი და მის ირგვლივ არსებული მოვლენებისადმი ადამიანების მიმართების, მისი დამოკიდებულების თავისებურებები ასრულებს.

რას ნიშნავს ეს? უპირველეს ყოვლისა, ეს ყველაფერი იმას ნიშნავს, რომ მეცნიერებას აინტერესებს თუ რას წარმოადგენს და რა არის ნივთი თუ მოვლენა თავისთავად. ხელოვნებაში კი უმთავრესია თუ რას წარ-



ხელოვნების სიყვარულით



ჩვენდა საბედნიეროდ, ქართულ ფოლკლორულ სამყაროს არაერთი გამორჩეულად ნიჭიერი ხელოვანი ჰყავს, რომელთა დამსახურებითაც, მოზარდი თაობა არ კარგავს ეროვნული ფოლკლორული ხელოვნების პატივსაცემასა და სიყვარულს. ასეთი წარმატებული ადამიანების რიგში დგანან ცნობილი ხელოვანები და პედაგოგები სოფია ქირია და სოსო კიკვაძე, რომელთა შემოქმედებითი საქმიანობით დაინტერესდა გაზეთი „ქართული ფოლკლორი“ და გადაწყვიტეთ ჩვენი მკითხველისთვის მოგვეთხრო მათ შესახებ.

სოფია ქირია დაიბადა 1988 წლის 23 დეკემბერს ქ. სოხუმში. 4 წლის იყო,

როდესაც მისი ოჯახი საცხოვრებლად თბილისში გადმოვიდა. პატარა სოფიას შესანიშნავი მუსიკალური მონაცემების შემდგომ განვითარებაზე, დედამ, ქალბატონმა მია ზარქუამ იზრუნა და მრავალხმიან ქართულ ხალხურ სიმღერებთან ერთად, სოფიას ჩონგურზე და ფანდურზე დაკვრაც შესწავლა.

ხელოვნების სიყვარულმა, თავდაპირველად ჰამლეტ გონაშვილის სახელობის ხელოვნების სკოლაში მიიყვანა. 2004 წელს ჩააბარა ზაქარია ფალიაშვილის სახელობის მუსიკალურ ტექნიკუმში საგუნდო-სადირიჟორო განყოფილებაზე, რომლის წარმატებით დამთავრების შემდეგ, სწავლა განაგრძო საქართველოს შოთა რუსთაველის თეატრისა და კინოს სახელმწიფო უნივერსიტეტში, რომელიც 2014 წელს მაგისტრის ხარისხით დაამთავრა. 2015 წლიდან კი ამავე უნივერსიტეტის ლექტორი გახლავთ.

სწავლის პარალელურად და შემდგომ წლებშიც სოფია ქირია არასდროს მოწყვეტია საყვარელ საქმიანობას და აქტიურად განაგრძობდა სიმღერას სხვადასხვა თვალსაჩინო ანსამბლებში. გახლდათ აფხაზეთის სიმღერისა და ცეკვის სახელმწიფო აკადემიური ანსამბლისა და ფოლკლორულ ანსამბლ „ქალგულოს“ სოლისტი, რომელსაც ბატონი გომარ სიხარულიძე ხელმძღვანელობდა.

განსაკუთრებით აღსანიშნავია, რომ სოფია ქირია, დაარსების დღიდან დღემდე, ანსამბლ „გორდელას“ სოლისტია, რომელსაც ბატონი თამაზ მამალაძე ხელმძღვანელობდა. ბატონმა თამაზმა, გოგონას შესანიშნავი მუსიკალური მონაცემები ჯერ კიდევ ზაქარია ფალიაშვილის სახელობის მუსიკალურ ტექნიკუმში სწავლის პერიოდში აღმოაჩინა. ასევე ბა-

ტონი თამაზის დიდი დამსახურებაა, რომ სოფია შესანიშნავად უკრავს სხვადასხვა ხალხურ საკრავზე.

სოფიას მეუღლე, სოსო კიკვაძეც მუსიკოს-პედაგოგი გახლავთ. მათი ქალიშვილი თამარი, ასევე ხელოვანი მშობლების გზას გააყვავა და კონსერვატორიის სემინარიაში სწავლობს.

2018 წელს, აფხაზეთის კულტურის, სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა სააგენტოს ინიციატივით ჩატარდა მუსიკალურად ნიჭიერი ბავშვების კონკურსი, შეირჩა 14 გოგონა და ჩამოყალიბდა აფხაზეთის კულტურის, სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა სააგენტოსთან არსებული გოგონათა ვოკალურ-ინსტრუმენტული ანსამბლი „გუმბათი“, რომლის ხელმძღვანელები სოფია ქირია და სოსო კიკვაძე ბრძანდებიან. ანსამბლთან ერთად, აქტიურად მუშაობს სტუდიაც.



მოზარდები, საქართველოს სხვადასხვა კუთხის ხალხური სიმღერებისა და ტრადიციული გალობის გარდა, სწავლობენ ქალაქურ სიმღერებს, ქართულ ხალხურ საკრავებს (ფანდური, ჩონგური, ბასფანდური, დაბალი ბანი, ჭუნირი, სალამური, ჭიბონი, დასარტყამი ინსტრუმენტები).

ქალბატონი სოფიასა და ბატონი სო-



სოს დაუღალავმა შრომამ და საქმისადმი დიდმა სიყვარულმა შედეგი მალე გამოიღო – დაარსებიდან დღემდე, ანსამბლ „გუმბათს“ არაერთ ფესტივალ-კონკურსზე, საქველმოქმედო თუ ხსოვნის საღამოზე აქვს მონაწილეობა მიღებული და დიდი წარმატებითაც. აღსანიშნავია, რომ ყოველწლიურად მონაწილეობენ ფესტივალზე „არტ-გენი“, 2023 წელს, ანსამბლი მიიწვიეს ფესტივალზე „Oncaucasus“, სადაც სოლო პროგრამით წარსდგნენ. საინტერესო და შემოქმედებითად დატვირთულია მათთვის 2024 წელიც.

P.S. გაზეთ „ქართული ფოლკლორის“ სარედაქციო კოლეგია უსურვებს მათ ახალ-ახალ შემოქმედებით წარმატებებს, კვლავაც ღირსეულად და ჩვეული შემართებით ეტარებინოთ მონივნებათა სახელი საქართველოში მოქმედ ფოლკლორულ ანსამბლებს შორის.

მანანა უშიკიშვილი



მოადგენს და როგორია ნივთი ადამიანისათვის. როგორ უყურებს და როგორ განიცდის იგი არსებულ მოვლენას.

ფილოსოფოსებს, ანუ სიბრძნის მოყვარულ ხალხს, ასეთი მაგალითის მოყვანა უყვართ: ტურისტული ჯგუფი მთის კალთებზე მოგზაურობს. ჯგუფის შემადგენლობაში შედის ბოტანიკოსი, ექიმი, გლეხკაცი, პოეტი, მოცეკვავე, მიადგენენ აყვავებულ ბალახოვან მდელოს. ყველა განცვიფრებული და აღტაცებულია. დაიწყეს მსჯელობა: ბოტანიკოსმა ყველას აუხსნა, რომ ამ მდელოებზე სხვადასხვა ჯიშის, სხვადასხვა სახეობის ბალახი და ყვავილი ხარობს. ისინი ერთმანეთს მტკვერავენ, თავიანთ თვისებებს გადასცემენ და მრავლდებიან. ექიმი იმის თაობაზე საუბრობს, რომ აქ ბევრი სამკურნალო ბალახი და ყვავილია, თან ნატრობს: – ნეტა ამათგან უკვდავების წამლის მომზადება შეეძლოს, ვიცი, რომ ეს ბალახი ამ დაავადებისაა, ის ბალახი კიდევ მეორეს შევლისო და ა. შ. გლეხკაცი გაიძახის – ეჰ! ერთი კარგი ცელი მომცა, ეს მდელოც ჩემი იყოს, რამდენი ტონა თევზი მომივიდოდაო. ახლა პოეტის ჯერია და იგი დარწმუნებულია, რომ „ცვრიან ბალახზე თუ ფეხშიშველმა არ გაიარე, რაა მამული!“ შთაგონება გამეხსნა და ამ სილაშაზეს ერთი კარგი ლექსი უნდა ვუძ-

ღენაო. მხატვარი სულ გადაიოხრა: რატომ ჩემი მოღბერტი არ წამოვიღე, ნახეთ რა ფერებია, ერთ კარგ სურათს შექმნიდიო! მოცეკვავემ – აქ ხელის გაშლას რა სჯობია, მაგრამ ამ სილაშაზის გადათელვა როგორ იქნებაო! ახლა დავსვით კითხვა, ვინაა მათ შორის მართალი? იქნებ შენ უპასუხო ამ კითხვას, ჩემო ნორჩო მეგობარო! იქნებ ყველა მათგანის აზრი თავისებურად ჭეშმარიტებას გამოხატავს?

ადამიანს აქვს გონება, აზროვნება, განცდები, ემოციები და მოქმედების უნარი. ადამიანი აკვირდება ბუნებასა და სხვა ადამიანთა ცხოვრებას, სწავლობს მოქმედ კანონზომიერებებს. ამგვარ დაკვირვებათა საფუძველზე იგი ადგენს, თუ როდის თენდება ან ღამდება, რატომ მოდის წვიმა, რა მიზეზით გარდაიქმნება წვიმის წვეთები თოვლის ფიფქებად, რატომ ღელავს ზღვა, რატომ ხდება ომები, როგორ ვუმკურნალოთ ავადმყოფს და ა. შ. ამ დროს იგი მეცნიერია, სწავლულია, მოაზროვნეა და მის მიერ მოპოვებული ცოდნა მით უფრო ზუსტი, მით უფრო სასარგებლო იქნება, რაც ნაკლებად აპყვება ადამიანი საკუთარ განცდებს, ემოციებსა თუ გრძნობებს.

გონიერება და აზროვნება არანაკლებ ეთაჭიროება ხელოვანსაც, მაგრამ ხელოვნების ნიმუშის შექმნის მომენტში

უმთავრესი მაინც ემოციური განცდები, წარმოსახვა და ფანტაზიაა.

წარმოვიდგინოთ ცეკვა „ხორუმი“. მეცნიერი კაცი მის შესახებ იტყვის, რომ ჩვენი წინაპრები გამუდმებულ ომებში იყვნენ ჩართულნი და თავის მამულს იცავდნენ გარეშე მტრისაგან. ომი რთული საქმეა. იგი მოითხოვს, სამხედრო მომზადებას, წესრიგს, ხელმძღვანელისადმი მორჩილებას, დაზვერვას, ბრძოლას, დაჭრილებზე ზრუნვას და ა. შ.

ეს ყველაფერი „ხორუმში“, როგორც საცეკვაო ხელოვნების ნიმუში, კარგად ჩანს. გავიხსენოთ, როგორი მწყობრი ნაბიჯით მოდის რაზმი, როგორ ვაუკაცურად მოუძღვის მას მხედართმთავარი (ხორუმბაში, თავმოსამე...) როგორ გამოიყოფა რაზმიდან მზვერავთა ჯგუფი, რა სილაშაზითა და დახვეწილობით ასრულებენ სათვალთვალოდ სიმაღლის შექმნას, ათვალთვრებენ გარემოს, ინფორმაციას გადასცემენ ძირითად ჯგუფში, იწყება იერიში...

ბრძოლა გამარჯვებით მთავრდება. მტერი მოგერიებულია, ახლა საჭიროა დაჭრილებზე ზრუნვა, მცირე ზეიმი, ღალაობა და დასვენება. ეს ყველაფერი ხდება მწყობრად, ღამაზად, მოხერხებულად, რათა, ისიამოვნოს მაცურებელმა, გაიხაროს და იმედი ჩაესახოს. აი, სწორედ ესაა

ხელოვნება, რომლის უშუალო შემქმნელი თვითონ ხელოვანია. მის რიგებში კი გაერთიანებულია რეჟისორი, ქორეოგრაფი, მოცეკვავე-მსახიობი, მუსიკოსები და ა. შ. რაც შეეხება მეცნიერებს, ისინი ხელოვნებას კი არ ქმნიან, არამედ ხელოვნებაზე მსჯელობენ, წერენ და ანალიზებენ თუ რა და როგორ გაკეთდა, ვინ იყო წარმატებული, ვის მოუვიდა შეცდომა და სხვა.

მეცნიერთა ამ ჯგუფს „ხელოვნებათმცოდნეებს“ ან კიდევ ციკვათმცოდნეებს ანუ „ქორეოლოგებს“ უწოდებენ.

ამრიგად, ხელოვნება ადამიანის შემოქმედებითი, ემოციურ-ესთეტიკურ გრძნობებზე დამყარებული საქმიანობაა.

მეცნიერება – გონების უპირატესი ძალის აღიარება და გონებრივი მსჯელობებით მორგებული დასკვნებია.

ფილოსოფია ძველ ბერძენთა განმარტებით არის „სიბრძნის სიყვარული“.

სინამდვილის, საგან-მოვლენებისადმი ადამიანის მიმართება ან გონებას ემყარება ან გრძნობა-განცდებს. ერთ შემთხვევაში, შედეგად მეცნიერებას ვღებულობთ, მეორე შემთხვევაში კი – სახეზე გვაქვს ხელოვნება.

ოლეგ ალავიძე
წიგნიდან „საუბრები ქორეოგრაფიაზე“



შესანიშნავი ქართველი მოცეკვავე და ქორეოგრაფი ლაშა მძინარაშვილი 2022 წელს, კასკადიორთა მსოფლიო აკადემიის უმაღლესი ჯილდოს „ტაურუსის“ მფლობელი გახდა რეჟისორ მეთიუ ვონის ფილმ „The King's Man“-ში შესრულებული საბრძოლო სცენისთვის. გაზეთ „ქართული ფოლკლორის“ სარედაქციო კოლეგია დაინტერესდა ახალგაზრდა, ნიჭიერი მოცეკვავე-მსახიობის შემოქმედებით და ინტერვიუც შედგა.



როგორ დაიწყო თქვენი კარიერა, როგორც მსახიობ-მოცეკვავეს და შემდგომში უკვე, როგორც ქორეოგრაფის?

ცეკვა ექვსი წლის ასაკში ანსამბლ „თერგში“ დაიწყო. ჩემი პირველი პედაგოგები ბატონი ნუგზარ ჯიქური და ქალბატონი ეთერ რეხვიაშვილი ბრძან-



გზა ტრიუმფით ჰოლივუდისკენ

დებოდნენ. შემდეგ ანსამბლ „როკვაში“ გავაგრძელე საცეკვაო კარიერა და ჩავაბარე კულტურის კოლეჯში ქორეოგრაფიულ ფაკულტეტზე. კოლეჯის დასრულებისთანავე, სწავლა განვაგრძე საქართველოს შოთა რუსთაველის თეატრისა და კინოს სახელმწიფო უნივერსიტეტში ქართული ცეკვის დამდგმელი ქორეოგრაფის სპეციალობაზე. უნივერსიტეტის დასრულებისთანავე მივედი ქართულ ნაციონალურ ბალეტში „სუხიშვილები“ და ამ ლეგენდარულ ანსამბლში, წლები ვიდექი სცენაზე დასთან ერთად. „სუხიშვილების“ ანსამბლიდან კარიერა გავაგრძელე სიმღერისა და ცეკვის სახელმწიფო აკადემიურ ანსამბლ „რუსთავემ“. როგორც მოცეკვავეს, სხვადასხვა დადგმებში თუ მიუზიკლებში მაქვს მონაწილეობა მიღებული. როგორც ქორეოგრაფ-პედაგოგმა, კარიერა დავეინყე ჩემსავე დაარსებულ ბავშვთა ქორეოგრაფიულ ანსამბლ „მუშპარში“. 2023 წლიდან, ვმუშაობ შოთა რუსთაველის თეატრისა და კინოს სახელმწიფო უნივერსიტეტში, ქართული ცეკვის პედაგოგად, ხოლო 2024 წლიდან, ფოლკლორის სახელმწიფო ცენტრში ახალი გუნდის ქორეოგრაფად მიმიწვიეს. ასევე ვარ „მინის თეატრის“ ქორეოგრაფი და ცეკვისა და თეატრის პლატფორმის „კირკეს“ წევრი.

როგორ აღმოჩნდით და რა გზა გაიარეთ ჰოლივუდამდე?

ჩემი ჰოლივუდურ ფილმში გამოჩენა უკავშირდება ბატონ დავით ხუბუას (ექვსი რეჟისორი და კასკადიორების ჯგუფის Action Production Georgia-ს ხელმძღვანელი). მასთან, წლების წინ, საინტერესო პროექტზე ვმუშაობდი კასკადიორად. ბატონი დავითი დამიკავშირდა და მითხრა, რომ ჰოლივუდში, საბრძოლო სცენებისთვის ხალხური ცეკვის მცოდნე მსახიობებს ეძებენ და თუ მოისურვებ, კასტინგზე წარგადგენო. გავაგზავნეთ მონაცემები, ვიდეოები და პასუხმაც არ დააყოვნა, რამდენიმე დღეში დამირეკეს ლონდონიდან და მითხრეს, რომ საცდელად უნდა ჩავსულიყავი. ასეც მოხდა, ჩავედი და ერთი დღე მომცეს გამოსაცდელი პერიოდი, რის შემდეგაც ოფიციალურად დამამტკიცეს როლზე. აქედან დაიწყო ჩემი ჰოლივუდური ისტორია.

რეჟისორ მეთიუ ვონის ფილმ The King's man-ში ნათამაშევი შესანიშნავად შესრულებული საბრძოლო სცენისთვის, ჰოლივუდში კასკადიორების მსოფლიო აკადემიის უმაღლესი ჯილდოს „TAURUS“-ის მფლობელი გავხდი. მემამყება, რომ პირველი ქართველი ვარ, ვინც ეს ჯილდო ჰოლივუდში მოიპოვა. ხოლო ამჟამად,

ამავე დაჯილდოების ჟიურის წევრის სტატუსი მომიწია.

რამდენად მარტივი რთული იყო თქვენთვის ქართული ფოლკლორის პოლივუდის თანამედროვეობასთან შერწყმა?

ლონდონში ფილმზე მუშაობა დიდი გამოწვევა იყო ჩემთვის, საქმე იმაში მდგომარეობდა, რომ მე არ ვიყავი პროფესიონალი კასკადიორი და პარალელურად სწავლა მიწევდა. ქართული ილეთების საბრძოლო ხელოვნებასთან შერწყმა, ტექნიკურად დიდ სირთულეს არ წარმოადგენდა, უბრალოდ იყო რაღაც დეტალები, რომელიც, როგორც მოცეკვავეს, ჩემი აღნაგობიდან გამომდინარე, არ მქონდა



პროექტებში ჩავერთო, რომელთა მეშვეობითაც უფრო მეტად შევძლებ მსოფლიოს ჩემი ქვეყანა და ჩვენი უნიკალური კულტურა გავაცნო. აქვე გეტყვით, რომ მომავლის პირველი პროექტი ბოსტონში, ჰარვარდის უნივერსიტეტის გაცვლითი პროგრამა იქნება, რომელიც უახლოეს



გაკეთებული. ამიტომ გადავწყვიტეთ, დამატებით კიდევ ერთი მოცეკვავე ჩამოგვეყვანა საქართველოდან, რომელიც შეასრულებდა იმ კონკრეტულ „ტრიუკს“ და ასეც მოხდა. ჩამოვიყვანეთ „სუხიშვილების“ ანსამბლის სოლისტი და ახლა უკვე აფხაზეთის სახელმწიფო ანსამბლის სამხატვრო ხელმძღვანელი ბაჩანა ჭანტურია, რომელმაც გენიალურად გაართვა თავი საქმეს და ერთად შევასრულეთ ფილმში ეს სცენები, რომელიც მსოფლიომ აღიარა.

ახლო მომავალში თუ გაქვთ კიდევ რაიმე გეგმები, რაც ქართული ქორეოგრაფიის საზღვარგარეთ პოპულარიზაციას უკავშირდება?

სამომავლო გეგმები, რა თქმა უნდა, მაქვს. დიდი სურვილი მაქვს, ისეთ

დღეებში დაიწყება და ეს იქნება ის პროექტი, სადაც კიდევ ერთხელ შევძლებ, ამერიკას გავაცნო ქართული საცეკვაო ფოლკლორი.

შესაძლოა თუ არა, რომ კინემატოგრაფიის სფეროში არა მხოლოდ კასკადიორად, არამედ ქორეოგრაფის ამპლუაშიც გიხილოთ?

წინასწარ საუბარი რთულია, მაგრამ გეგმებში და მოლაპარაკებებში უკვე გამოჩნდა პატარა პროექტი, სადაც უკვე არა კასკადიორად, არამედ ფილმში დამდგმელ-ქორეოგრაფად შემომთავაზეს მუშაობა და ეს თუ განხორციელდა, ჩემთვის ეს კიდევ ახალი გამოწვევა და წინ გადადგმული ნაბიჯი იქნება.

სალომე ცინდელიანი




ქართული ქორეოგრაფიის ეროვნული ცენტრი

2024 წლის 19 ივნისს, ქართული ქორეოგრაფიის ეროვნული ცენტრის ორგანიზებით, თბილისის პროფკავშირების კულტურის ცენტრში გაიმართა ფოლკლორის ტრადიციადქვეული საბავშვო და ახალგაზრდული ფესტივალი „მომავალი ჩვენი“, რომელშიც მონაწილეობდნენ ჩვენი ქვეყნის მასშტაბით მოქმედი ანსამბლები. ღონისძიება ჩატარდა ორ განყოფილებადა, რომელსაც უძღვებოდნენ ზაზა ალექსიძე და მანანა უშიკიშვილი. ფესტივალის მხარდამჭერები: საქართველოს ქორეოგრაფთა აკადემია, პროფე-

სიონალ ქორეოგრაფთა კავშირი, გაზეთი „ქართული ფოლკლორი“, ზაურ ლაზიშვილის სახელობის ხელოვნების ინსტიტუტი. ღონისძიების დასასრულს გაიმართა დაჯილდოების ცერემონიალი, მონაწილე ანსამბლებს გადაეცათ სპეციალური დიპლომები, ხოლო ქორეოგრაფები დაჯილდოვდნენ მაღლიერების სიგელებით, ქართული ქორეოგრაფიის ეროვნული ცენტრის საპატიო წევრობის მონიშვნებითა და სხვადასხვა საჩუქრებით. ღონისძიებამ, თბილ, ჭეშმარიტად მაღალმემოქმედებით ატმოსფეროში ჩაიარა.



ამირანის მითოლოგიური პერსონაჟი ქართულ სახეკვარო ფოტოლოგიაში



უხსოვარი დროიდან ადამიანი დიდ კავშირს გრძნობდა ბუნებასთან, რაც გამოიხატებოდა მის ქმედებებში, ანუ სარიტუალო ხასიათის ცეკვებში. კონკრეტულად ყურადღება გასამახვილებელია მონადირულ ცეკვებზე და ფერხულეზე. როგორც ავთანდილ თათარაძე თავის ნაშრომში წერს: „ნადირობის პროცესმა და მასთან დაკავშირებულმა შინაარსმა „მონადირული ცეკვისთვის“ შექმნა შესატყვისი წრიული ფორმა, რომელიც ფერხულის წარმოშობის საფუძვლად იქცა“. აქედან გამომდინარე, ჩვენ შეგვიძლია ვთქვათ, რომ საქართველოში უხსოვარი დროიდან არსებობდა მონადირული ფერხული და იგი იყო წრიული ფორმის. ფორმა ჩამოაყალიბა ნადირობის ტაქტიკამ, როდესაც ადამიანები ნადირს წრეში იწყევდებდნენ.

მონადირეთა ცეკვის შესახებ წარმოდგენას იძლევა რამდენიმე არქეოლოგიური ძეგლი, რომელიც ჩვენი ქვეყნისათვის უმნიშვნელოვანესი არტეფაქტია. ესენია: თრიალეთის ვერცხლის თასი, იგი თარიღდება ძვ.წ. II ათასწლეულით და ზედ აღბეჭდილია წრიული სახის მსვლელობა, ასევე ბრინჯაოს სარტყელი, ითიფალური ქანდაკებები, სამადლოს ქვევრი... ყოველი მათგანი ხაზს უსვამს ჩვენი კულტურის იდენტობას და არქაულობას.

მრავალფეროვან და მდიდარი ტრადიციის მქონე ქართულ ხალხურ სიტყვიერებაში ეპიკური შემოქმედების წვლილი, შეიძლება ითქვას, მეტად მწირია. დასაძინა, რომ საქართველოში, უძველესი დამწერლობის ქვეყანაში, XIX საუკუნის მეორე ნახევრამდე არ უცდიათ ხალხური ეპოსების ჩანერა. ჩვენს წერილობით ძეგლებში მათი არსებობის მხოლოდ ფრაგმენტული კვალი შეიძლება დავადასტუროთ.

ეპოსი, როგორც ჟანრი, მრავალი ფოლკლორული ფორმის მომცველია - ეს შეიძლება იყოს ზღაპარი, მითოლოგიური გადმოცემა, თქმულება, ლეგენდა, ნებისმიერი ნარატივი ანუ ყველაფერი, რაც ნაამბობია, ყოველი ამბავი, რაც მბობას ექვემდებარება, მაგრამ სტრუქტურული, კომპოზიციურად მყარად შეკრული, თავისი დასაწყისითა და გარდაუვალი დასასრულით.

საქართველოსათვის მნიშვნელოვან ეპოსს წარმოადგენს მითი ქართველი პრომეთეს, ამირანის შესახებ. მათ შორის ტიპოლოგიური კავშირი არსებობს. პრომეთე, ადამიანთა მუდმივ დამცველად და ღმერთებთან მეზობლად გვირგვინად მოადგენილი. ეპოსის მიხედვით, სწორედ პრომეთე უბრუნებს ადამიანებს ცეცხლს,

რომელიც ზევსმა წაართვა, ამის გამო პრომეთე ისჯება კავკასიონის მთაზე მიჯაჭვებით.

ამირანის ეპოსმა ჩვენამდე ფრაგმენტული სახით მოაღწია. „იგი არსებობს თხრობითი ტექსტის სახით, რომელიც ალაგ-ალაგ ლექსითი ნაწილებია ჩართული.“ მითი, საქართველოს თითქმის ყველა კუთხეში გავრცელებული სხვადასხვა ვარიანტით. ამირანი, როგორც ყოველი ეპიკური გმირი. სასწაულებრივად იშვა. იგი გადაგდებული ბავშვია, თითქოს და დასალუბად განწირული.

ფშავური თქმულებით ამირანის მამას „სულკალმახი“ ერქვა. ამასთანავე, იგი მოხუცებული ყოფილა. ხოლო სვანურ თქმულებაში - მონადირე „დარჯელანი“. სახელი სულკალმახის შესახებ ბევრი ცნობა არ არსებობს. „იგი რთული სიტყვაა და პირველი სახელი „სულა“ სხვა სიტყვებთან შეერთებაში ხვდება ხოლმე, მაგ: „სულა-კურდელი“ უფრო საყურადღებოა, რომ ფშავლებს „გმირთა შორის სულა-კურდელიც“ მიაჩნდათ ხატად.

რაც შეეხება ამირანის დედას, გასაოცარი სილამაზის მქონე „დალი“ წარმოადგენს, თუმცა სვანეთში მას „დარჯელანის“ სახელით იცნობენ.

მზეთუნახავი დედა კვდება, როგორც წესი, ბავშვის დაბადებამდე. ბავშვი უნდა



ამოირიდოს დედის საშოდან და მონაცვლეობით უნდა გამოიშუშოს: ჯერ ბატკნის, მერე ბოჩოლას ფაშვში (კახური ვარიანტი) ან დეკულის და მერე კუროს ფაშვში (სვანური ვარიანტი), ან ახლადმოკლული ირმის „ნელდ ტყავში“ (გურული ვარიანტი).

თავად ამირანი საოცარი გარეგნობით გამოირჩეოდა. ოქროს კბილებით ცნობდნენ მას. 12 უღელი ხარ-კამეჩის ღონე ჰქონდა, მგლის მუხლი, ზვავის სისწრაფე და საცრისოდენა თვალეზი. ამირანისადმი სიყვარული ქართველმა ერმა, ზეპირსიტყვიერების გარდა, მუსიკასა და ქორეოგრაფიაშიც გამოხატა. ამირანის ფერხული, სანადიროს სახელწოდებით დღემდე შემოინახა ზემო სვანეთში. რომელიც ამირანისა და მისი ძმების სანადიროდ წასვლას ეხება. სვანეთის გარდა, რაჭასაც შემორჩა ამირანისადმი მიძღვნილი ფერხული. „ამბროლაურსა და ონის რაიონების ყველა სოფელში ამირანის ლექსებს ფერხულის დროს მღერიან“. ისიც უნდა აღვნიშნოთ რომ ივანე ჯავახიშვილი თავის ნაშრომში „თხზულებანი თორმეტ ტომად“ წერს: ამირანს ნამდვილი ძმები არ ჰყო-

ლია. ისინი მისი ძმადნაფიცები იყვნენ. უფროსი-ბადრი და შუათანა-უსუფი. „ბადრის და უსუფის მამა „იამანი“ რომ მივიდა წყაროზე და აქ მან ნახა აკვანში მწოლიარე ყმანვილი, გაუხარდა და თქვა-ეს ჩემი შვილების ძმად გამოდგებაო.“

მიუხედავად ასეთი სიდიადისა, „ამირანმა“ თავისი გმირობა კრახით დაასრულა. თითქმის ყველა თქმულება მოგვითხრობს მითს მიჯაჭვული ამირანის შესახებ. ქართლური, კახური, ფშავური და თუშური თქმულება ამტკიცებს რომ იგი ისე გაკადნიერდა, რომ თვით ღმერთი გამოიწვია პაექრობაში. ღმერთმა სწორედ ამიტომ დასაჯა იგი და მიაჯაჭვა კავკასიონის მთაზე. მიჯაჭვა არ აკმარა მრისხანე ნათლიამ - ზედ კლდეც გადაახურა, რათა კაცთაგან უხილავი ყოფილიყო, როგორც დაბეჭდილი საიდუმლო. „ღმერთმა ჩაასო მინაში უზარმაზარი რკინის პალო, რაზეც მიაჯაჭვა ამირანი“. ყველა თქმულება, სვანურის გარდა, აღიარებს, რომ ამირანის გოშია, ანუ ფრთოსანი ყურმა, ყოველ დღე ლოკავდა იმ რკინის ჯაჭვს, ათხელებდა, თუმცა ამ დროს გამოჩნდებოდნენ მჭედლები და იმ რკინას ისევე გაასქლებდნენ. აქ ყურმა, მეგობრობის, სიმამაცისა და ერთგულების სიმბოლოა. ამბავი „ფრთოსან ყურმაზე“ რაჭაშიც გრძელდება. სწორედ ყურმას

გმირობასა და ერთგულებაზე შეიქმნა სამონადირეო ფერხული „შავო ყურმაო“ ან „ო, ჩემო ყურმაო“. ამირანს რაჭულ თქმულებაში ივანე ქვაციხელი ანაცვლებს, რომელიც ასევე დიადი ძალითა და ვაჟკაცობით გამოირჩეოდა.

„ქვაციხის“ მახლობლად აშენებულია ეკლესია, სადაც ინახება დაღუპული მონადირის მშვილდ-ისარი. ამ ფაქტს ხალხი ივანე ქვაციხელის სახელს უკავშირებს. სოფელ ლებთან დგას მისი სახელობის ნიშა და ქვა. საგულისხმოა, რომ ქვაციხელის სახელთან დაკავშირებული დღეობა სრულდება აღდგომის მესამე ოთხშაბათს. აქ ასრულებენ ფერხულს, სადაც იმღერება „ყურმას“ ლექსი. ივანე ქვაციხელზე და მის ერთგულ ყურმაზე შემდეგი ლეგენდა არსებობს. დიგორელებთან ომის შემდეგ ივანე სანადიროდ წავიდა, სადაც თან წაიყვანა თავისი ძალი. ნადირობისას მას შემოაღამდა და ძალღმერთი ერთად ღამე გამოქვაბულში გაატარა. მეორე დღეს, როდესაც თოვლი დადნა, საფეხურები ჩამოიყარა და მონადირემ ჩამოსვლა ვეღარ შეძლო. ქვაციხელმა გამოსაკვებად საკუთარი ძალი

დაკლა, რომ ხორცი ეჭამა, თუმცა ჭამა ვერ შეძლო.

ელენე ვირსალაძე „ქართულ სამონადირეო ეპოსში“ „ჩემო ყურმაო“ განსხვავებულ ვერსიას გვანდის. ამ ვერსიაში მონადირეს ყურმა ეკარგება. იგი მის საძებნელად წავა და იპოვნის კიდეც გამოქვაბულში. მეორე დღეს კი მას მოუწევს ერთგული მეგობრის საკვებად გამოყენება. ის ასევე წერს, რომ ყურმას ყოველთვის მოაქვს ილბალი. მისი პატრონი ყოველთვის პოულობს ნანადირევს. თუმცა ეს კონკრეტული დღე, როგორც ჩანს, მისთვისაც და პატრონისთვისაც საბედისწერო აღმოჩნდა.

სხვა თქმულებების თანახმად, ყურმა ორბის ან ზღაპრული ფასკუნჯის შვილია, რომელსაც მონადირე იპოვნის და გაზრდის.

ჩვენამდე მოღწეული ყურმას სიმღერა წარმოადგენს საგალობელს, ჰიმნს, ქებას მიმართულს ზნეობრივი არსებისადმი. რომელზეც, როგორც ჩანს, დამოკიდებული იყო მონადირის ბედ-ილბალი. ამ ფერხულის ტექსტი უფრო არქაული სახით რაჭაში გვხვდება. „ფერხულის ტექსტი, გოგია ინაშვილის თქმით, პ.უმიკაშვილს ჩაუწერია 1875 წელს, სადაც ნათლად ჩანს, რომ ყურმა არის მონადირის ძალი. მასში ნაქვები თვით ძალი ყურმა. როდესაც რაჭველები სანადიროდ მიდიოდნენ, წინ ერთ-ერთი მომღერალი გზას უკვალავდა, დანარჩენები კი მოძახილს ამბობდნენ - „ო, ჩემო ყურმაო“. ნადირის დაჭერის შემთხვევაში, სიხარულისგან წრეს კრავდნენ, წრის შიგნით მოქცეული იყო მომღერალი, რომელსაც ხელში ნანადირევი ეჭირა და საათის ისრის საწინააღმდეგოდ ტრიალებდა, მეფერხულენი - ისრის მიმართულებით და მოძახილს ამბობდნენ“.

დიმიტრი ჯანელიძე თავის ნაშრომში „ქართული თეატრის ხალხური საწყისები“ გვანდის ინფორმაციას ფერხულის წყობის შესახებ. ის ამბობს, რომ უძველესი ფერხული „ჩემო ყურმაო“ მიიჩნევა ერთპირულ ფერხულად. მას თავისი მოძახილი და შემხმობელი ჰყავს. ასევე ამ საფერხულო მწყობრს ინდივიდუალურად ჭიანურის აკომპანიმენტით ასრულებენ, მისი მელოდია არქაულია და მინორული. მის შესრულებაში ფერხულის გუნდის ორი ნახევარწრე მონაწილეობს. ფერხულის წყობა, შესრულება და ტექსტი მის არქაულობაზე მიანიშნებს, რაც ჩვენი კულტურისთვის მეტად ძვირფასია.

დასკვნის სახით შეგვიძლია ვთქვათ, რომ ნადირობასთან დაკავშირებული ყველაზე ადრინდელი ფერხულის შინაარსი გამოხატავდა განვლილი ნადირობის პროცესს, რომელსაც თავიდანვე წრიული ფორმა ჰქონდა.

ამირანის თქმულების მასშტაბურობა საფუძველს გვაძლევს, ვიფიქროთ, რომ ამირანის ფერხული და მასთან დაკავშირებული მითი მთელს საქართველოში იყო გავრცელებული, შემდგომ, სამწუხაროდ, ფერხულთა ნიმუშები დაიწყებას მიეცა, მათი ტექსტი მხოლოდ სვანეთსა და რაჭაში გვხვდება. ამის მიუხედავად სასიმღერო მელოდია, რიტმი და საფერხული წყობა რადიკალურად განსხვავდება ერთმანეთისგან.

სალომე ნოზაძე,
საქართველოს შოთა რუსთაველის სახელობის თეატრისა და კინოს სახელმწიფო უნივერსიტეტის ქორეოგრაფიული მიმართულების პირველი კურსის სტუდენტი

რეზო ქანიშვილის შემოქმედებითი საღამო



„რუსთავის“ მთავარი ქორეოგრაფი, სუხიშვილების ყოფილი მოცეკვავე-სოლისტი;

- 14. გელა წერეთელი-ანსამბლ „ობიზას“ ხელმძღვანელი;
- 15. თამაზ კობახიძე და ნინო ლაზიშვილი-ანსამბლ „მერანის“ ხელმძღვანელები;
- 16. ეკატერინე გოგიტიძე-ანსამბლ „ლამპარის“ ხელმძღვანელი;
- 17. სალომე ცინდელიანი და ლუკა ხიდაშელი-ანსამბლ „კრწანისის“ ქორეოგრაფები;
- 18. ეკატერინე გაბრავა და მამუკა მესხიშვილი – ქორეოგრაფიულ ანსამბლ „მეგას“ ხელმძღვანელები;
- 19. მარი ულენტი-ანსამბლ „ჯაბადარის“ ხელმძღვანელი;
- 20. ნინო ჭიჭინაძე და ჯაბა მათიაშვილი-ანსამბლ „ქართველოს“ ხელმძღვანელები;
- 21. მაია მიროტაძე და ვაჟა კუპატაძე-ანსამბლ „ლიახვის“ ხელმძღვანელები;
- 22. ეთერ ხიზანიშვილი-ანსამბლ „დავითიანის“ ხელმძღვანელი.

3. რობერტ ლონდაძე-ქორეოგრაფიულ ანსამბლ „არილის“ ხელმძღვანელი, ქორეოგრაფიული ხელოვნების მაგისტრი, საქართველოს ქორეოგრაფთა გილდიის დამფუძნებელი;

4. თემურ ჩხაიძე-საქართველოს დამსახურებული არტისტი, ღირსების ორდენის კავალერი;

5. მანანა იმედაძე-„ქართული ტე-ის“ გენერალური დირექტორი;

6. თემურ შამიაშვილი-პოლიტიკოსი „ქართული TV“-ის დამფუძნებელი;

7. ნუგზარ კაპანაძე-საქართველოს დამსახურებული არტისტი, ღირსების ორდენის კავალერი;

8. მაკა ქაშაკაშვილი-ქორეოგრაფიულ ანსამბლ „მერანის“ ერთ-ერთი დამფუძნებელი;

9. ლონდა უგულავა და კახა ხერხაძე-ანსამბლ „ფრესკას“ ხელმძღვანელები;

10. ანგული ქავთარაძე-საქართველოს პროფესიონალ ქორეოგრაფთა კავშირის ხელმძღვანელი, ღირსების ორდენის კავალერი;

11. თამაზ ათანელი-„სუხიშვილების“ ლეგენდარული ანსამბლის ყოფილი მოცეკვავე-სოლისტი;

12. იური ტორაძე-საქართველოს ქორეოგრაფთა კავშირის თავმჯდომარის მოადგილე, ღირსების ორდენის კავალერი;

13. მამუკა ცერცვაძე-სიმღერისა და ცეკვის სახელმწიფო აკადემიურ ანსამბლ

თულმა“ (ქორეოგრაფ-პედაგოგი-სერგო გეგეჭკორი).

რეზო ქანიშვილის შემოქმედებით საღამოს უძღვებოდნენ გაზეთ „ქართული ფოლკლორის“ რედაქტორი მანანა უშიკიშვილი და გელა ქანიშვილი.

ღირსების მხარდამჭერები: საქართველოს კულტურისა და სპორტის სამინისტრო, კულტურის ინსტიტუტი, საქართველოს ქორეოგრაფთა აკადემია, პროფესიონალ ქორეოგრაფთა კავშირი.

ღირსებისას აშუქებდნენ ტელეკომპანია „რუსთავი-2“, საზოგადოებრივი მაუწყებელი, პოსTV-ი და „ქართულიTV“.

დამსწრე საზოგადოების აღფრთოვანება გამოიწვია შემოქმედებითი საღამოს საკონცერტო ნაწილმა, რომელშიც მონაწილეობდნენ საქართველოს მასშტაბით მოქმედი საბავშვო და ახალგაზრდული ქორეოგრაფიული ანსამბლები.

შემოქმედებითი საღამოს დასასრულს, ბატონ რეზოს, სცენაზე კიდევ ერთხელ მიესალმნენ ცნობილი საზოგადო მოღვაწეები, ხელოვანები, მისი აღზრდილები, გაიხსენეს რეზო ქანიშვილის მიერ



ღირსეულად განვლილი ცხოვრების გზა და მიულოცეს დაბადებიდან 87 და შემოქმედებითი მოღვაწეობის 70-ე წელი. ქართული ქორეოგრაფიის ეროვნული ცენტრის განკარგულებით, ბატონ რეზოს გადაეცა ომარ მხეიძის სახელობის პრემია. საღამო, მრავალუამიერის ფონზე, დაავიწყებინა საოცრად ლამაზ ვითარებაში ჩატარებულმა დაჯილდოების ცერემონიამ. შემოქმედებით საღამოში მონაწილე ყველა ქორეოგრაფიულ ანსამბლს გადაეცა მადლიერების სიგელები მონაწილეობისა და მაღალი საშემსრულებლო ოსტატობისათვის.

მანანა უშიკიშვილი



ქართული ფოტოლორი
ISSN 2960-9364
9 772960 936002
მის: თბილისი, ცოტნა ლადიანის №26
ტელ.: 593 79 49 30
ქართული ფოტოლორი;
E-mail: nccg2023@gmail.com

სარედაქციო კოლეგია:
რეზო ბალანჩივაძე
რეზო ქანიშვილი,
ურა დვალისკვილი,
ზაზა მჭავანაძე,
ერეკლე საღლიანი,
ეთერ თათარაიძე,
ამირან არაბული
ეკატერინე გელიაშვილი

საავტორო უფლებები დაცულია, მასალების გადაბეჭდვა რედაქციასთან შეუთანხმებლად დაუშვებელია, ავტორთა აზრი შესაძლოა არ ემთხვეოდეს რედაქციისას. ავტორები თავად აგებენ პასუხს ფაქტების, ციფრებისა თუ ციტატების სიზუსტეზე. მასალებს ხუთ ნაბეჭდ თაბახზე მეტს ნუ შემოგვთავაზებთ. შემოსული მასალები ავტორებს უკან არ უბრუნდებათ.

რედაქტორი:
მანანა უშიკიშვილი
გამომცემელი:
ქართული ქორეოგრაფიის ეროვნული ცენტრი
დაიბეჭდა:
„პრინტ-ფაბრიკის“ სტამბაში